

# შპს „ჯეოფილერი“

მინერალური შემავსებელის (ე.წ. ფილერის) დამამზადებელი  
საწარმოს მშენებლობა

(ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №88)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შ.პ.ს. „გრინტექსი“

დირექტორი

ი. მცხვეთაძე

თბილისი

2020 წ.

## შესავალი

შპს „ჯეოფილერს“ დაგეგმილი აქვს ქ. ქუთაისში, სამრეწველო ზონაში (ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №88) მინერალური შემავსებელის (ე.წ. ფილერის) დამამზადებელი საწარმოს მშენებლობა.

აღნიშნული შემავსებელი (ფილერი) მიიღება მინერალური ქანების (კირქვა, დოლომიტი, ბაზალტი) მიკრონულ დონემდე დაფქვის გზით. სხვა ტექნოლოგიური პროცესები საწარმოში გათვალისწინებული არ არის. ფილერის გამოყენება ხდება ბეტონის, ასფალტის, საღებავების და სხვათა მინერალურ შემავსებლად, რომელიც მათ განსაკუთრებულ თვისებებს ანიჭებს და იძლევა ეკონომიას ძირითადი მასალების ხარჯვის ნაწილში.

საქართველოს კანონის “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-4 ნაწილის შესაბამისად შპს „ჯეო-ფილერი“-ს მიერ დაგეგმილი მინერალური დაფქვის საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასაველად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.


## პროექტის მოკლე მიმოხილვა

ფილერი წარმოადგენს მინერალურ შემავსებელს, რომელიც მიიღება მინერალური ქანების (კირქვა, დოლომიტი, ბაზალტი) მიკრონულ დონემდე დაფქვის გზით. მისი გამოყენება ხდება ბეტონის, ასფალტის, საღებავების და სხვათა მინერალურ შემავსებლად, რომელიც მათ განსაკუთრებულ თვისებებს ანიჭებს და იძლევა ეკონომიას ძირითადი მასალების ხარჯვის ნაწილში.

**აღსანიშნავია, რომ საწარმოში დაფქვის გარდა სხვა ტექნოლოგიური პროცესები გათვალისწინებული არ არის.**

პროექტით საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 12 ტ/სთ-ში ფილერის წარმოებას. ფილერის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს ქვემოთ მოყვანილი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით:

შპს „ჯეოფილერი“-ს საწარმოს ტექნოლოგიური სქემა



## ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

30 მმ დამსხვრეული კირქვა მომწოდებლიდან შემოდის საფარებლებით აღჭურვილი მაღალ ტონაჟიანი თვითმცლელი ავტომანქანებით და განთავსდება დახურულ საცავში 4-5 დღის მარაგის უზრუნველყოფით. პროექტით გათვალისწინებულია ფილერის წარმოება 10-12 ტ/სთ-ში, 20 საათიანი სამუშაო ციკლით წელიწადში 300 დღის მანძილზე. საცავებიდან მასალა ავტოჩამტვირთვით მიეწოდება 15 მეტრით დაშორებით დამონტაჟებულ 14 ტონიან ბუნკერს ზომით 3,5x3,5 მ რომლის სიმაღლეც 2 მეტრს შეადგენს (ტექნოლოგიურ სქემაზე №2). ბუნკერიდან დოზირების ჩამკეტის გავლით მასალა გადადის კონვეიერზე – 3, რომლის სიგრძეც 26.3 მეტრია, სიგანე 0,6 მეტრი, დახრის კუთხე 14 გრადუსი. კონვეიერიდან მასალა გადადის სამარაგე ბუნკერში – 4, რომლის მაღალი წერტილიც 6.6 მეტრის სიმაღლეზეა, ზომით 3.5 x 4 x 4.7 31.6 კმ ტევადობით. სამარაგე ბუნკერი მოდულშია განთავსებული, მისგან მასალა დოზატორით –1 გადადის წისქვილში –5. წისქვილი ვერტიკალური ტიპისაა და აღჭურვილია სეპარატორით 8, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს დაფქვის სიწმინდის რეგულირებას.

წისქვილს ვენტილატორის – 18 საშუალებით მიეწოდება ჰაერის მძლავრი ნაკადი 500 მმ იანი მილებით, რომლებიც უზრუნველყოფენ 41500 კმ/საათში ჰაერის გატარებას. მძლავრი ნაკადი წარიტაცებს დაფქვულ მასალას, გაატარებს სეპარატორს და გადაიტანს მას 2 პარალელურად ჩართულ ციკლონებში – 7. თითოეული ციკლონის დიამეტრი 1.65 მეტრია, დგომის მაქსიმალური სიმაღლე 9.4 მეტრია. ციკლონებიდან მასისგან გათავისუფლებული ჰაერი გადადის სახელოებიან ფილტრში – 6 და უბრუნდება ციკლს ვენტილატორის შემწოვი მილით. ფილტრი სწორკუთხა ფორმისაა ზომით 1,96x 1,59. ჰაერის მოძრაობის ციკლი შეკრულია (ჩაკეტილია) და იგი გამოიყენება მასის ტრანსპორტირების საშუალებად.

ციკლონების კონუსიდან დაფქვული მასა გადმოიტვირთება შნეკებით 9, მასვე დაემატება ფილტრებში დაჭერილი მასის რაოდენობა და იგი მიეწოდება 20.55 მეტრიან სიმაღლის ჯამებიან ელევატორს – 10, რომელსაც პროდუქტი გადაქვს 18.2 მეტრის სიმაღლეზე განთავსებულ 150 ტონიან სილოსებში – 11. სილოსი დახურულია და მისი ცილინდული ნაწილის დიამეტრი 4 მეტრია. სილოსი დგას სპეციალურად მოწყობილ პორტალზე, რომლის ქვეშ განთავსებულ სატრანსპორტო ერთეულის ჩატვირთვასაც ანხორციელებს ჩამტვირთი –13. პორტალში განთავსებულია 2 სილოსი.

**ტექნოლოგია საინტერესოა იმით, რომ გამოყენებული ჰაერის გატყორცნა ატმოსფეროში პრაქტიკულად არ ხდება, ბოლო ეტაპზე სახელოებიან ფილტრში გაწმენდილი ჰაერი შეიწოვება ვენტილატორის საშუალებით და უბრუნდება ციკლს.**

რადგან მშენებლობის ეტაპის ძირითად მოცულობას წარმოადგენს გამზადებული მოდულების და მოწყობილობა - დანადგარების მონტაჟი, გარემოზე ზემოქმედება იქნება მინიმალური. საპროექტო საწარმოს მშენებლობის და ოპერირების ეტაპებზე გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეები განხილულია ქვემოთ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს „ჯეოფილერი“-ს მინერალური შემადგენლის დამამზადებელი საწარმოს, რომლის ოპერირება გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებით, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება გარემოზე ექნება უმნიშვნელო.

საწარმო აღჭურვილი იქნება თანამედროვე დანადგარ - მოწყობილობით და საწარმოს ოპერირების ტექნოლოგიური რეჟიმი სრულად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, მითუმეტეს რომ საწარმოში დაფქვის გარდა სხვა ტექნოლოგიური პროცესები გათვალისწინებული არ არის.

საწარმოს ოპერირების პროცესში მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი, რადგან დანერგილი იქნება ჰაერის მოძრაობის ჩაკეტილი ციკლი ციკლონების და სახელოიანი ფილტრების გამოყენებით.

ტექნოლოგიურ პროცესში არ გამოიყენება წყალი და არ საჭიროებს საწარმოო საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობას. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენება ადგილზე არსებული წყალმომარაგება-წყალარინების სისტემა.

საწარმოს ოპერირების პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან მისი ტერიტორია დაცვილებულია საცხოვრებელ ზონას - 450 მეტრით.

საწარმოს მშენებლობის და ოპერირების პროცესში ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობის სახიფათო, ინერტული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. მშენებლობისა და საწარმოს მცირე მასშტაბების გატვალისწინებით აღნიშნული ნარჩენების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი და მათი მართვა (შენახვა-განთავსების ან აღდგენის მიზნით ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია განლაგებულია სამრეწველო ზონაში და შესაბამისად მცენარეთა და ცხოველთა სახეობები იქ არ არის დაფიქსირებული.

საწარმოს მშენებლობის და ოპერირების პროცესში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება საფარებლებით აღჭურვილი მაღალ ტონაჟიანი საავტომობილო ტრანსპორტი, რაც მინიმუმამდე დაიყვანს დამტვერიანებას. აღნიშნულის გათვალისწინებით აგრეთვე არ არის მოსალოდნელი მიმდებარე შიდა გზების ან საავტომობილო მაგისტრალის სატრასპორტო ნაკადების გადატვირთვა.

საწარმოს ოპერირებისას ძირითადად დასაქმდება ე. ქუთაისის მოსახლეობა, რის გამოც

დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის;

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე 10 მუხლის თანახმად, შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

**დანართები:**

- დანართი 1. შპს „ჯეოფილერი“-ს საწარმოს განლაგების სიტუაციური გეგმა;
- დანართი 2. შპს „ჯეოფილერი“-ს საწარმოს განლაგების გეგმა;
- დანართი 3. შპს „ჯეოფილერი“-ს საწარმოს გენ-გეგმა;
- დანართი 4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- დანართი 5. საკადასტრო გეგმა;
- დანართი 6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

შპს „ჯეო-ფილერი“-ს

დირექტორი

ზვიად ამირიძე


დანართები:

# დანართი 1. შპს „ჯეოფილერი“-ს საწარმოს განლაგების სიტუაციური გეგმა






დანართი 2. შპს „ჯეოფილერი“-ს საწარმოს განლაგების გეგმა



დანართი 3. შპს „ჯეოფილერი“-ს საწარმოს გენ-გეგმა



დანართი 4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მისი (უძლიე ქონების) საკატეგორიო კოდი **N 03.01.21.083**

**ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020231023 - 29/04/2020 13:31:56

შომზადების თარიღი  
04/05/2020 16:33:11

**საკუთრების განყოფილება**

მონა ქუთაისი	სექტორი ავტოქარხანა	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
<b>03</b>	<b>01</b>	<b>21</b>	<b>083</b>	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსკებელი ფართობი: 93448.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: <b>03.01.01.083</b> ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობი 75422.17 კვ.მ. (მათ შორის I ხართული - 63986.24 კვ.მ., II ხართული - 11435.93 კვ.მ.)

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ქუჩა ავტომშენებელი, N 88, (ნაკვეთი N9)

**მესაკუთრის განყოფილება**

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **032007013033** , თარიღი **03/09/2007**  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **06/08/2008**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტა:**

- საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 22.12.2000 წლის N1-3/850 და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ენერჯის მინისტრის 21.12.2000 წლის N74 საერთო ბრძანება
- ბრძანება, N119, გაფორმების თარიღი: 29/07/1994, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველო
- შპს "ინდუსტრია"-ს დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი, N8, გაფორმების თარიღი: 19/08/2005
- სასამართლოს დედგვილება, გაფორმების თარიღი: 13/12/2000
- სასამართლოს დედგვილება, გაფორმების თარიღი: 26/08/2005
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N173-ა, დამოწმების თარიღი: 30/08/2006, საქართველო ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი N1-8249, დამოწმების თარიღი: 09/08/2006, ნოგარიუსი ე. ბერიძე
- ბრძანება N11227/002-2/4-3991, დამოწმების თარიღი: 02/07/2007, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია
- შერწყმის (მიერთების) ხელშეკრულება N1-5954, დამოწმების თარიღი: 28/06/2007, ნოგარიუსი ე. გვანცელაძე

**მესაკუთრეები:**

შპს "ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა" (ყოფილი შპს მსოფლიო გვენიკა) ID ნომერი: 202236794

**მესაკუთრე:**

შპს "ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა" (ყოფილი შპს მსოფლიო გვენიკა)

ბლწერა:

**საგადასახადო გირავნობა:**

რეგისტრირებული არ არის

## იპოთეკა

<b>1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892017280157</b> თარიღი 26/12/2017 17:17:54	<b>იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი" 204378869;</b> <b>მესაკუთრე: შპს "ქუთაისის ავგომექსნიკური ქარხანა" (ყოფილი შპს მსოფლიო გექნიკა) 202236794;</b> საგანი: მიწის დამუშავებული ფართობი: 93448.00 კვ.მ. და მასზე არსებული N1 საერთო ფართობი 75422.17 კვ.მ. (მათ შორის I სართული - 63986.24 კვ.მ., II სართული - 11435.93 კვ.მ.);
<b>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/01/2018</b>	<b>იპოთეკის ხელშეკრულება N509407-გთ, რეესტრის ნომერი N171491757, დამოწმების თარიღი 25/12/2017, ნოტარიუსი ი. შარვაძე</b> <b>განცხადება, რეესტრის ნომერი N171491767, დამოწმების თარიღი 25/12/2017, ნოტარიუსი ი. შარვაძე</b>

## შემლულული სარგებლობა

<b>განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020231023</b> თარიღი 29/04/2020 13:31:56	<b>მოაღწაგე: შპს "ჯეო-ფილერი" 405228114;</b> საგანი: დამუშავებული ფართობი: 93448.00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1410.7 კვ.მ მიწის ფართი და შენობის ნაწილი-1970.24 კვ.მ ; ვადა: 10 წელი;
<b>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/05/2020</b>	<b>აღწაგობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 29/04/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო</b>

## ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საუქრად მიღებისას სამემოსილო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალიდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგესთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მზიდან უკანითო ქმელების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

დანართი 5. საკადასტრო გეგმა



**საკადასტრო გეგმა**

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **03.01.21.083**

ნაკვეთის დანიშნულება:


არასასოფლო საშენი

განცხადების ნომერი: **882020215756**

ფართობი:

**93448 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

შომზადების თარიღი: **23/03/2020**



დანართი 6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20055068, 16/07/2020 20:05:10

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ჯეო-ფილერი  
**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405228114  
**რეგისტრაციის ნომერი,  
თარიღი:** 15/09/2017  
**მარეგისტრირებული  
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ბაგების  
დას., კორპ. 3, ბ. 88

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ელ. ფოსტა:** geofiller@gmail.com  
**ტელეფონი:** 577503901

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**რეორგანიზაციის ისტორია**

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
შპს დაგი (404953706)	შერწყმა	შპს ჯეო-ფილერი (405228114)	16/07/2020

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა**

- დირექტორი - ზვიად ამირიძე, 01025011313

**პარტნიორები**

<b>მესაკუთრე</b>	<b>ნილი</b>	<b>ნილის მმართველი</b>
ზვიად ამირიძე, 01025011313		50%
ივანე ცინცაძე, 01030006236		50%

---

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

---

**ყადალა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)